



## ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში

ულტრამემარჯვენე რიტორიკა და ტენდენციები სოციალურ მედიაში

2022 წელი

მედია მონიტორინგის ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

# 1. წინასიტყვაობა

ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში პროპაგანდისტული მოსაზრებების და ნარატივების გასავრცელებლად ყველაზე ხშირად იყენებენ სოციალურ მედიას. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მკვეთრად თვალშისაცემია ამ ჯგუფების პოლიტიკურ სუბიექტებად ტრანსფორმაციის პროცესი, მხარდამჭერთა მობილიზებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამოქმედო არეალად მათთვის ინტერნეტ სივრცე იქცა.

ულტრა-მემარჯვენე ჯგუფები ხშირად აპელირებენ ეთნო-რელიგიურ განწყობებზე, რაც ქვეყნის ევროატლანტიკურ მისწრაფებებს საფრთხეს უქმნის. გარდა ამისა, ისინი ხშირად არიან პროპაგანდისტული დეზინფორმაციის გავრცელების წყარო. ამ ფონზე, ონლაინ პლატფორმებზე ულტრამემარჯვენე ჯგუფების იდეოლოგიური პროპაგანდის გამოსავლენად, სოციალური მედიის მუდმივი მონიტორინგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ულტრა-მემარჯვე ჯგუფების სამოქმედო დღის წესრიგის, რიტორიკისა და ძირითადი ნარატივების ანალიზის მიზნით, წინამდებარე ანგარიშში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 2021 წლის სექტემბერ-დეკემბერში განხორციელებული მედიამონიტორინგის შედეგებს აჯამებს. ანგარიშში ასევე განხილულია ულტრამემარჯვენე ლიდერების დისკურსი და პოლიტიკური შეფასებები ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და ლიდერების მიერ სოციალურ მედიაში გავრცელებული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული შინაარსის მქონე 865 შემთხვევა გაანალიზა; გამოამჟღავნა, რომ ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტები კოორდინირებული ქსელის სახით მართავენ და აქტიურად იყენებენ ფეისბუქ გვერდებს და ჯგუფებს.

მნიშვნელოვან ულტრამემარჯვენე პლატფორმას წარმოადგენს მედია ორგანიზაცია „ალტ-ინფო“, რომელიც მართავს არამხოლოდ ფეისბუქ გვერდებს, არამედ იყენებს ოფიციალურ [სატელევიზიო](#) და [Youtube](#) არხებს და [ტელეგრამ](#) სივრცეს. 2021 წლის 7 დეკემბერს სწორედ „ალტ ინფოს“ გუნდის ბაზაზე დარეგისტრირდა ულტრამემარჯვენე და პრორუსული განწყობების მქონე პარტია „[კონსერვატიული მოძრაობა](#)“. პარტიის ლიდერებმა ზურა მახარამემ, გიორგი ქარდავამ და კონსტანტინე მორგოშიამ დეკემბერშივე დააფუძნეს [რეგიონული ოფისები](#) ხობში, აბაშაში, წალენჯიხასა და ზუგდიდში.

2021 წლის 30 ოქტომბერს, თვითმართველობის არჩევნების მეორე ტურის პარალელურად, კიდევ ერთი ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტი „ერი და სახელმწიფო“ დაფუძნდა. პარტიულ ყრილობაზე თავმჯდომარედ ქსენოფობიური და ჰომოფობიური რიტორიკით ცნობილი ზვიად ტომარაძე აირჩიეს. ზვიად ტომარაძე ოთხი საკანონმდებლო ინიციატივის თანაავტორია, რომლის ფარგლებშიც მოითხოვდა: 1) რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის დასჯას;<sup>1</sup> 2) 12 აგვისტოს „დიდგორობის“ უქმე დღედ გამოცხადებას;<sup>2</sup> 3) უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის ბინადრობის უფლების გამკაცრებას;<sup>3</sup> 4) ანტიდისკრიმინაციული კანონიდან ტერმინების „სექსუალური


<sup>1</sup> Netgazeti, „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ ასაკრძალად პარლამენტი სამუშაო ჯგუფს ქმნის,“ 24 აპრილი 2018, ხელმისაწვდომია <https://cutt.ly/jR0vSTm>

<sup>2</sup> Netgazeti, „პარლამენტის კომიტეტმა მხარი დაუჭირა დიდგორობის უქმედ გამოცხადებას“, 12 სექტემბერი 2018, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/4R0bsSy>

<sup>3</sup> ლიბერალი, „ზვიად ტომარაძე და ენმ უცხოელებისთვის ბინადრობის უფლების მინიჭების გამკაცრებას

ორიენტაცია” და „გენდერული იდენტობის“ ამოღებას.<sup>4</sup> [ზვიად ტომარაძე](#) და ულტრამემარჯვენე ბლოგერი [ბექა ვარდოსანიძე](#) აქტიურად ეწევიან ანტივაქსერულ პროპაგანდას და პანდემიის პირობებში, სწორედ ამ გზით ცდილობენ დასავლური ინსტიტუტების დემონიზებას. ზვიად ტომარაძემ და ბექა ვარდოსანიძემ კოვიდ რეგულაციებისა და ე.წ. „მწვანე პასპორტის“ გაუქმების მოთხოვნით, საანგარიშო პერიოდში არაერთი [საპროტესტო აქცია გამართეს](#).

საანგარიშო პერიოდში, ულტრამემარჯვენე ლიდერების ყურადღების ცენტრში იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. შეფასებები ძირითადად მიმართული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ და იგრძნობოდა სახელისუფლებო პარტიის ირიბი ან პირდაპირი მხარდაჭერა. არჩევნების ფონზე ულტრამემარჯვენე ფიგურებმა [ლევან ჩაჩუამ](#) და [დიმიტრი ლორთქიფანიძემ](#) ყურადღება გაამახვილეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ეროვნულ-კონსერვატიული ძალების ერთიანი ფლანგის შექმნის აუცილებლობაზე. კიდევ ერთმა ულტრამემარჯვენე ლიდერმა სანდრო ბრეგამ, „ქართული მარშის“ სრული რეორგანიზაცია დააანონსა.



პოლიტიკური ტრანსფორმაციების ფონზე, მნიშვნელოვან ტენდენციად იკვეთება, ერთი მხრივ, ულტრამემარჯვენე ძალების რეორგანიზაციის, ხოლო მეორე მხრივ, კონსოლიდაციის საკითხი.

საანგარიშო პერიოდში, ანტიდასავლური, ანტივაქსერული და ულტრანაციონალისტური მიმართულებები ყველაზე ხშირად შეიმჩნეოდა ულტრამემარჯვენე სოციალურ მედია პლატფორმებზე. ფეისბუქ გვერდები: „[ახიმუტი](#)“, „[სარკაზმელები](#)“, „[ანტილიბერალური კოალიცია](#)“, „[ტრადიციონალისტური პლატფორმა](#)“ და „[კონსერვატორი](#)“ ღიად უპირისპირდებიან დასავლურ ქვეყნებს და ინსტიტუტებს; პროპაგანდისტული შინაარსის მქონე მასალების გაზიარებით, საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გაღვივების გზით და ოპოზიციური სპექტრის დისკრედიტაციის მცდელობით, ამ გვერდების მესვეურები ამომრჩეველთა პოლიტიკურ განწყობებზე ზემოქმედებას ცდილობენ. აღნიშნულ გვერდებზე აქტიურად მიმდინარეობს ლევან ვასაძის პოლიტიკური მოძრაობა „ერის“ და „ალტ-ინფოს“ გუნდის მხარდაჭერა.

ულტრაკონსერვატიული და ულტრანაციონალისტური დისკურსით გამოირჩევა შემდეგი ფეისბუქ გვერდები: „[ეროვნული იდეოლოგია უალტერნატივოა](#)“, „[პატრიოტული გვერდი](#)“ და

მოითხოვენ", 25 დეკემბერი 2018, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1R0kZC6>

<sup>4</sup> Netgazeti, “მორიგი მცდელობა კანონმდებლობიდან „გენდერული იდენტობის“ და “სექსუალური ორიენტაციის” ამოსაღებად“, 6 ივნისი 2016, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/tR0lqGK>


„საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტი“. შესამჩნევია მათი კავშირები „ალტ-ინფოსთანაც“. აღნიშნული გვერდები ეთნონაციონალისტურ განწყობებზე აპელირებით ცდილობენ ჰომოფობიური, ანტიდასავლური და ქსენოფობიური რიტორიკით ირაციონალური შიშების გაღვივებას საზოგადოებაში.

ულტრამემარჯვენე ლიდერები და პოლიტიკური პარტიები აქტიურად იყენებენ ოფიციალურ ვებგვერდებს საკუთარი იდეოლოგიის და დღის წესრიგის გასავრცელებლად. „ქართული იდეის“ სახელთან არის დაკავშირებული ონლაინ პლატფორმები [qartuliidea.ge](http://qartuliidea.ge) და [zneoba.ge](http://zneoba.ge). პოლიტიკური მოძრაობა „ერი, რაობა, იმედი“ ფლობს ვებსაიტს [eri.ge](http://eri.ge), ხოლო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საკუთარი პოლიტიკური რიტორიკის გასავრცელებლად იყენებს ვებგვერდს [patriots.ge](http://patriots.ge). ახლად დაფუძნებული, ულტრამემარჯვენე პარტია „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერი ზვიად ტომარაძე ასევე აქტიურად არეკლამებს საკუთარ ოფიციალურ გვერდს [ersa.ge](http://ersa.ge).

## 2. ულტრამემარჯვენე ძალების პოლიტიკური ტრანსფორმაცია და ანოტაციები

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა ულტრამემარჯვენე ძალების პოლიტიკურ მოძრაობებად ტრანსფორმაციის პროცესი. საზოგადოებრივი მოძრაობის „ერი და სახელმწიფოს“ ბაზაზე 2021 წლის 30 ოქტომბერს [დაფუძნდა](#) ამავე სახელწოდების პოლიტიკური პარტია, ხოლო 20 ნოემბერს მედია პლატფორმა „ალტ-ინფოს“ ბაზაზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიის „კონსერვატიული მოძრაობის“ [ყრილობა](#) გაიმართა. [ტექნიკური ხარვეზის](#) მიზეზით, საჯარო რეესტრმა საწყის ეტაპზე ორივე პოლიტიკური სუბიექტის რეგისტრაცია შეაჩერა, თუმცა 7 დეკემბერს „ალტ-ინფოს“ ბაზაზე დაფუძნებული „კონსერვატიული მოძრაობა“ ოფიციალურად [დარეგისტრირდა](#). რაც შეეხება „ერი და სახელმწიფოს“, ამ ეტაპზე ორგანიზაცია რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიათა ერთიან ბაზაში [არ იმეზნება](#).

### „ერი და სახელმწიფო“



**პოლიტიკური იდეოლოგია:** ულტრამემარჯვენე, ნაციონალ-კონსერვატიზმი<sup>5</sup>

**ლოზუნგი:** „ერი და სახელმწიფო“ უმთავრესი ღირებულებაა

**თავმჯდომარე:** ზვიად ტომარაძე

**გენერალური მდივანი:** ირაკლი აბაშიძე

<sup>5</sup> ქოლგა ტერმინი, რომელიც აერთიანებს რადიკალურ, ულტრანაციონალისტურ და ექსტრემისტულ იდეოლოგიებს. მოქმედების ინსტრუმენტად კი იყენებს ქსენოფობიას, ჰომოფობიას და მიზოგენიას.

დაფუძნების თარიღი: 2021 წლის 30 ოქტომბერი  
ვებ გვერდი: <https://ersa.ge/>  
ფეისბუქ გვერდი: <https://bit.ly/3BJCahM>

პოლიტსაბჭოს შემადგენლობა: 1. ირაკლი აბაშიძე (ეკონომისტი); 2. ზაურ ნაჭყებია (პუბლიცისტი); 3. ბექა დუმბაძე (იურისტი); 4. რამაზ ბექაური (ტურისტ-მენეჯერი); 5. თეიმურაზ ლომიძე (ადვოკატი); 6. სერგო ლალიაშვილი (სოცმედია მენეჯერი); 7. ნიკოლოზ ხომასურიძე (რეჟისორი); 8. მალხაზ კვიციანი (ისტორიკოსი); 9. კობა კუპრაშვილი (პოლიტოლოგი).

2021 წლის 30 ოქტომბერს, 9 აპრილის ბაღში, ახალი ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტის „ერი და სახელმწიფოს“ ყრილობა გაიმართა. ყრილობის მონაწილეებმა თავმჯდომარედ [ზვიად ტომარაძე](#), ხოლო გენერალურ მდივნად [ირაკლი აბაშიძე](#) აირჩიეს. თავდაპირველად „ერი და სახელმწიფო“ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახით ფუნქციონირებდა, რომელიც 2018 წლის 24 აპრილს დაფუძნდა. პოლიტიკური სუბიექტი „ერი და სახელმწიფო“ ხასიათდება მკვეთრად ეთნონაციონალისტური, ანტივაქსერული და ანტილიბერალური რიტორიკით. პოლიტიკური დღის წესრიგი და სამოქმედო გეგმა კი ემყარება შემდეგ ძირითად [პოსტულატებს](#):

- ყველა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ტყე, წყალი, წიაღისეული და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსები უნდა იყოს მხოლოდ სახელმწიფოს ან საქართველოს მოქალაქეების საკუთრებაში.
- სახელმწიფოში უნდა არსებობდეს შიდა ბაზრისა და ადგილობრივი წარმოების დაცვის პოლიტიკა. გარდა ამისა, საქართველო უნდა იყოს მწარმოებელი და არა მხოლოდ მომხმარებელი სახელმწიფო. სასიცოცხლოდ აუცილებელია „სასურსათო ეკონომიკური უსაფრთხოების“ შექმნა, რაც გულისხმობს მოსახლეობის ადგილობრივი წარმოების კვების ძირითადი ნაწარმით უზრუნველყოფას.
- სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს რეგიონების ურბანული და აგრარული განვითარება-გადლიერება.
- საქართველოს გეოპოლიტიკური საფრთხეებიდან გამომდინარე, ქართული ჯარი უპირველეს ყოვლისა უნდა პასუხობდეს ლოკალურ თავდაცვით ამოცანებს, უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ბრძოლისუნარიანობით და იყოს მტრისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენებაზე ორიენტირებული.
- სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქეთა ცხოვრების დონის რეალური მინიმალური სტანდარტი. ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, ჯანსაღ საკვებასა და უსაფრთხო გარემოზე.
- ქვეყნის გარედან მიზანმიმართულად თავსმოხვეული ნებისმიერი იდეოლოგიური პროპაგანდა დაუშვებელია და სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს აღკვეთილი.
- ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს ეროვნული კულტურისა და სპორტის მხარდაჭერა.
- სახელმწიფო უნდა იმართებოდეს ძლიერი სახელისუფლებო ვერტიკალით, უნდა აღსდგეს საპრეზიდენტო მმართველობა, ხოლო პარლამენტი უნდა შედგებოდეს არაუმეტეს 100 დეპუტატისგან, რომლებიც არჩეულნი იქნებიან მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გადაწყვიტოს ხალხმა, რეფერენდუმის გზით.

პოლიტიკური სუბიექტი „ერი და სახელმწიფო“ ქვეყნის უმთავრეს პრობლემად სახავს ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებას. შესაბამისად,




ნაციონალისტურ განწყობებზე აპელირებით ცდილობს ამომრჩევლების პოლიტიკურ განწყობებზე ზემოქმედებას და აქცენტს აკეთებს, ერთი მხრივ, ეროვნული იდენტობის შენარჩუნების მნიშვნელობაზე, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებაზე.

პარტია ასევე გამოირჩევა მკვეთრად ანტივაქსერული გზავნილებით და მოუწოდებს ხელისუფლებას, არ დაუშვას სავალდებულო ვაქცინაცია. ზვიად ტომარაძის ორგანიზებით საანგარიშო პერიოდში არაერთი საპროტესტო აქცია ჩატარდა „მწვანე პასპორტის“ და კოვიდ რეგულაციების წინააღმდეგ, გზავნილით „არა კოვიდ დიქტატურას“. ოფიციალურ ვებგვერდზე [ersa.ge](http://ersa.ge)-ზე განთავსებულია დონაციის გრაფა, სადაც მითითებულია საბანკო მონაცემები, ამომრჩევლებისგან ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად.

„ერი და სახელმწიფოს“ პოლიტიკური რიტორიკა სხვა ულტრამემარჯვენე პარტიების, განსაკუთრებით კი, „ქართული იდეის“, „ერის“ და „ქართული მარშის“ მსგავსია. თუ გავითვალისწინებთ მისი თავმჯდომარის ზვიად ტომარაძის წარსულ კავშირებს აღნიშნული პოლიტიკური სუბიექტების ლიდერებთან, სანდრო ბრეგაძესთან და ლევან ვასაძესთან, შეიძლება გაჩნდეს სამომავლოდ მათი კონსოლიდირებული პოლიტიკური აქტივობების საფუძვლიანი ეჭვი. ზვიად ტომარაძემ, ულტრამემარჯვენე პოლიტიკური მოძრაობა „ერის“ ლიდერ ლევან ვასაძესთან ერთად, 2014 წელს [დააფუძნა](#) „დემოგრაფიული განვითარების ფონდი“, ხოლო „ქართული მარშის“ ხელმძღვანელ სანდრო ბრეგაძესთან ერთად აქტიურად იყო ჩართული საინიციატივო ჯგუფში, რომლის ეგიდითაც საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის მიზნით (რომ ქორწინება წარმოადგენს ოჯახის შექმნის მიზნით მხოლოდ მამაკაცისა და ქალის კავშირს) ითხოვდა [რეფერენდუმის](#) ჩატარებას.

### „კონსერვატიული მოძრაობა“



ქონსერვატიული მოძრაობა



**პოლიტიკური იდეოლოგია:** ულტრამემარჯვენე, ნაციონალ-კონსერვატიზმი<sup>7</sup>  
**პარტიის თავმჯდომარე:** ზურა მახარაძე  
**გენერალური მდივანი:** გიორგი ქარდავა  
**დაფუძნების თარიღი:** 2021 წლის 7 დეკემბერი

<sup>6</sup> ინტერპრესნიუსი, „საინიციატივო ჯგუფმა ცესკო-ს ახალი სარეფერენდუმო კითხვის რეგისტრაციის თხოვნით მიმართა“, 13 მაისი 2016- ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/fr0m3v9>

<sup>7</sup> ქოლგა ტერმინი, რომელიც აერთიანებს რადიკალურ, ულტრანაციონალისტურ და ექსტრემისტულ იდეოლოგიებს. მოქმედების ინსტრუმენტად კი იყენებს ქსენოფობიას, ჰომოფობიას და მიზოგენიას.

ფეისბუქ გვერდი: <https://cutt.ly/yItVePF>

პარტიის პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობა: ირაკლი მარტინენკო, ირაკლი მორგოშია, გიორგი ქარდავა და ვასილ გვალია. ალტ ინფოსთან დაკავშირებული პირები - გიორგი მორგოშია, ალექსანდრე ქარდავა და ემრე ქუჩუქი კი სარევიზიო კომისიის წევრები არიან.

2021 წლის 20 ნოემბერს, „ალტ-ინფოს“ გუნდმა პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ პირველი ყრილობა ჩაატარა. [პარტიის](#) გენერალურ მდივნად გიორგი ქარდავა, თავმჯდომარედ კი, ზურა მახარაძე აირჩიეს. პოლიტსაბჭოში შევიდნენ ირაკლი მარტინენკო და ირაკლი მორგოშია. პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ძირითადი დამფინანსებელია კონსტანტინე (კოკა) მორგოშია. „ალტ-ინფოს“ პოლიტიკურ ტრანსფორმაციას წინ უძღოდა წინასაარჩევნოდ, 2021 წლის 10 სექტემბერს, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება, რომელმაც „ალტ-ინფოს“ მთელი საქართველოს მასშტაბით სატელევიზიო მაუწყებლობის განხორციელების [უფლება](#) მისცა. დამფუძნებლებმა პარტიულ ყრილობაზე ღიად განაცხადეს „კონსერვატიული მოძრაობის“ პრორუსული და ანტიდასავლური საგარეო ვექტორის შესახებ. ზურა მახარაძემ [პარტიის მიზნებად](#) საქართველოში „ლიბერალური დიქტატურის“ დასრულება და „ქრისტიანული დემოკრატიის“ შექმნა დაასახელა. პარტიას მკვეთრად პრორუსული კურსი და საგარეო ორიენტაცია გააჩნია. **„კონსერვატიული მოძრაობა“ სამომავლო გეგმებში აქტიურად განიხილავს კრემლთან მოკავშირეობასა და პარტნიორული კავშირების განმტკიცებას.**

პარტიულ ყრილობაზე ლიდერებმა [განაცხადეს](#), რომ მათი მთავარი პრიორიტეტი ქვეყნის უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, „უკიდურესი სიდუხჭირის“ აღმოფხვრა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. დასახული მიზნების განხორციელების გზას კი კრემლთან თანამშრომლობაში ხედავენ და აღნიშნავენ, რომ სწორედ რუსეთში წყდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა ბიურომ ულტრამემარჯვენე, ჰომოფობიური და ძალადობრივი გაერთიანება 7 დეკემბერს ოფიციალურად [დაარეგისტრირა](#). საგულისხმოა, რომ სწორედ „ალტ-ინფოს“ ლიდერები არიან 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის ორგანიზატორები, რის შედეგადაც მედიის არაერთი წარმომადგენელი დაშავდა. საანგარიშო პერიოდში „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერებმა დააორგანიზეს ორი საპროტესტო აქცია, ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისთვის ბრალდებული მათი თანამოაზრეების გათავისუფლების მოთხოვნით.

### 3. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ულტრამემარჯვენე ფოკუსში

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ლიდერების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

„ალტ ინფოს“ გადაცემაში „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ლიდერმა გურამ ფალავანდიშვილმა „ქართული ოცნების მხარდამჭერი [განცხადება](#) გააკეთა და აღნიშნა, რომ ის არ არის ანტაგონისტურად განწყობილი ხელისუფლების ამომრჩევლის მიმართ. არჩევნებს გამოეხმაურა „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგამეც და [განაცხადა](#), რომ „ასჯერ რომ დაუყენო ალტერნატივად ქართულ ოცნებას ნაციონალური მოძრაობა, ასჯერვე ხელისუფლება

მოიგებს“.



განსხვავებული პოზიცია აქვს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერს ირმა ინაშვილს. ინაშვილმა ბრიფინგზე [განაცხადა](#), რომ თვითმმართველობის არჩევნები ხელისუფლების და ნაციონალური მოძრაობის „ფსევდო დაპირისპირების“ ლუსტრაცია იყო და არალეგიტიმურად მიიჩნია მისი შედეგები.

„ქართული იდეის“ ლიდერმა [ლევან ჩაჩუამ](#) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს „ნაც-ქოცური კლოუნადა“ უწოდა და კონსერვატიულ პოლიტიკურ ფლანგს საპარლამენტო არჩევნებისთვის კონსოლიდაციისკენ მოუწოდა. ულტრამემარჯვენე ლიდერმა [დიმიტრი ლორთქიფანიძემ](#) ასევე აღნიშნა, რომ დადგა ძლიერი კონსერვატიული ფლანგის ფორმირების დრო.

პოლიტიკური მოძრაობა „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერმა ზვიად ტომარაძემ არჩევნების შემდგომ ხელისუფლების მხრიდან [„კოვიდტერორი“](#) დააანონსა და [აღნიშნა](#), რომ თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე, 27 ოქტომბერს, „ქართული ოცნების“ მიერ დაორგანიზებული აქცია იყო მასკარადი და არჩევნების პირველ ტურში დამაჯერებელი გამარჯვების ფონზე, მიზანშეწონილი არ იყო ფართომასშტაბიანი აქციის ჩატარება.

არჩევნებთან კავშირში შეაფასა „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ საქმიანობა ულტრამემარჯვენე პოლიტიკური მოძრაობის „ერთობა, რაობა, იმედის“ ლიდერმა ლევან ვასაძემაც. საკუთარ ოფიციალურ საიტზე [eri.ge](#), ბლოგში „უძღურის დღიურები“, ვასაძემ საარჩევნო გარემო მონოპოლიზებულად მოიხსენია და აღნიშნა, რომ მხოლოდ „ქართული ოცნების“ ჯიბრზე ჰყავს ნაციონალურ მოძრაობას ამომრჩეველი. ლევან ვასაძე უარყოფითად აფასებს „ქართული ოცნების“ კოჰაბიტაციურ პოლიტიკას და აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების გასამართლებას. **მიუხედავად ხელისუფლებისადმი დემონსტრირებული ნეგატიური დამოკიდებულებისა, ვასაძე ბიძინა ივანიშვილს მოიხსენიებს დიდ ქველმოქმედად და ლიბერალური დასავლეთის პირად ტყვედ.**

არჩევნების პარალელურად, განსაკუთრებით გააქტიურდა ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის დისკრედიტაციის კამპანია, რომელიც პირდაპირ თუ შეფარვით ატარებდა სამთავრობო ძალის მხარდამჭერ პოლიტიკას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე. მისი განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია ექსპრეზიდენტების მიხეილ სააკაშვილისა და ზვიად გამსახურდიას შედარებამ. სანდრო



ბრეგაძემ გამოაქვეყნა [ფეისბუქ სტატუსები](#), სადაც მოლაპატე უწოდა ყველას, ვინც მსგავს პარალელს ავლებდა - „სად ზვიადი და სად მიშა, სად წმინდა და სად ბინძური, სად ლომი და სად კატა“. მის პირად ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული სტატუსები გაზიარდა ონლაინ მედია [Alia.ge](#)-ზე. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად 29 ოქტომბერს (ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის წინა დღეს) სანდრო ბრეგაძის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციული [სტატია](#), რომელიც ეყრდნობა რუსი გენერლის ვიარსლავ ბორისოვის განცხადებას, თითქოს 2008 წლის აგვისტოში რუსეთის გეგმებში არ შედიოდა ახალგორის დაპყრობა და ეს ნაციონალური მოძრაობის ლიდერების დაჟინებული მოთხოვნით მოხდა. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს კრემლის პროპაგანდის შემადგენელ ნაწილს. აღნიშნული სტატიის პირველწყაროს წარმოადგენს პრორუსული მედია [NSP.ge](#). ინფორმაცია ვირუსულად გავრცელდა სახელისუფლებო პარტიასთან ღიად აფილირებულ ფეისბუქ ჯგუფებშიც: [„ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერები“](#), [„პოლიტიკური კოალიცია ქართული ოცნების მხარდამჭერები“](#) და [„გასამართლდეს ნაციონალური-ტერორისტული მოძრაობა“](#). მსგავსი კოორდინაცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ გვერდებსა და სანდრო ბრეგაძეს შორის მიუთითებს, რომ სანდრო ბრეგაძე, სავარაუდოდ, ამომრჩეველთა პოლიტიკურ განწყობებზე გავლენის მოხდენას „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ცდილობდა.



- > მთავარი
- > ახალი ამბები
- > მასალა
- > მართლმადიდებლობა
- > უსუსური კრება
- > მს სპარტა
- > შოუბიზნესი
- > ინტერნეტ ღამიანი
- > იმედოვნო
- > მს სპარტა
- > იმედოვნო
- > მს სპარტა

**ახალი ამბები რადიო მდია**  
 რუსი ბენეფიციარი საინფორმაციო-სამეცნიერო კორტალი: 2008 წელს ახალგორში მოხდა არ გაპირებულ - რაიონი კახა ლუმაბაძის თხოვნით დაბრუნდა



რუსეთის საპარტო-სადესანტო გარეზის გენერალ-მაიორ ვიარსლავ ბორისოვის განცხადებით, რუსული არმია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ახალგორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაცვას არ გეგმავდა.  
 ბორისოვთან ინტერვიუ "საერთო გაზეთში" გამოაქვეყნა.

**“ზვიადის ფრჩხილად არ ღირს ეს თქვენი ფარკაპი მიშა !!” – სანდრო ბრეგაძე**

ავტორი - ალია — 20:56 10-05-2021 — ახალი ამბები, მთავარი AA



მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების შემდეგ, წინასაარჩევნოდ მის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას შეუერთდნენ „პატრიოტთა ალიანსთან“ აფილირებული ფეისბუქ გვერდები: [„პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერები“](#), [„ჭიათურა, საჩხერე, ხარაგაულის პატრიოტები“](#), [„ქვეყნის მტრების წინააღმდეგ“](#) და [„სიმართლის გზა“](#). მათ კოორდინირებულად გავრცელეს საქართველოს მესამე პრეზიდენტის მადისკრედიტირებელი იდენტური ინფორმაცია, სადაც უარყოფით კონტექსტშია შეჯამებული ნაციონალური მოძრაობის მმართველობის 9 წელი და აღნიშნულია, რომ მიხეილ სააკაშვილმა გადასცა ქართული ტერიტორიები სომხეთს, აზერბაიჯანსა და რუსეთს. გარდა ამისა, აღნიშნული პოსტები შეიცავს ფართოდ გავრცელებულ, მოძველებულ დეზინფორმაციას, რომლის თანახმადაც, ექსპრეზიდენტმა 28 000 ეროვნებით თურქს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა.<sup>8</sup> იდენტური დეზინფორმაციული და მადისკრედიტირებელი გზავნილები გავრცელდა ულტრანაციონალისტურ გვერდზე [„ეროვნული ტელევიზია“](#).

წინასაარჩევნო პერიოდში, ნაციონალური მოძრაობის დისკრედიტაციის პარალელურად, ულტრამემარჯვენე ლიდერებმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერა გამოუცხადეს. „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარემ გურამ

<sup>8</sup> ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში საქართველოს მოქალაქეობა ჯამურად მიღებული აქვს სულ [2886](#) თურქს.

ფალავანდიშვილმა ალტ-ინფოს გადაცემაში, „[ალტერნატიული ხედვა](#)“ განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მისთვის მიუღებელი ლიბერალური კურსის ცვლილება დაიწყო და ირაკლი ღარიბაშვილის განსაკუთრებულ როლს გაუსვა ხაზი „პრაიდის კვირეულის“ ჩაშლაში. ბლოგერი და ულტრამემარჯვენე აქტივისტი [ბექა ვარდოსანიძე](#) ღიად გამოხატავს პოზიტიურ დამოკიდებულებას პრემიერისადმი. აღნიშნული მხარდაჭერა განპირობებულია ირაკლი ღარიბაშვილის [განცხადებით](#),<sup>9</sup> რომ ის არ დაუშვებს სავალდებულო ვაქცინაციას.



ბექა ვარდოსანიძის ბლოგი • Beka Vardosanidze's blog  
24 October at 18:34

24 ოქტომბერი!!!  
ბატონო პრემიერიო მოუხედავად ჩემი დიდი კრიტიკისა სწორედ ჩემი მიზანია ამ კვირდ  
ფაშისტებთან მიმართებაში ზურგი მოგეთ !!!  
არჩევანი თქვენზეა!!!  
არ დავეშვებ სავალდებულო ვაქცინაციას, – ამის შესახებ პრემიერმა ირაკლი  
ღარიბაშვილმა განაცხადა.  
„მინდა, ცალსახად ვთქვა, მე როგორც საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-  
მინისტრი, არ დავეშვებ სავალდებულო ვაქცინაციას. მინდა, რომ ეს ყველამ კარგად  
იგოდეს. ჩვენს მოქალაქებს აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება და საშუალება..... See  
more

**არ დავეშვებ სავალდებულო  
ვაქცინაციას - პრემიერი**

COVID-19

#### 4. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ონლაინ დისკურსი და ნარატივები

ადგილობრივი არჩევნების ფონზე, ულტრამემარჯვენე ჯგუფების დეზინფორმაციული კამპანიის ფარგლებში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ანტიდასავლური და ანტივაქსერული ნარატივები. ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ სუბიექტებთან დაკავშირებული ფეისბუქ გვერდები და ონლაინ მედიები ხშირად კოორდინირებულად ავრცელებდნენ რელიგიურ და ეროვნულ იდენტობებთან დაკავშირებულ პროპაგანდისტულ ნარატივებს საზოგადოების დეზინტეგრაციის, პოლარიზაციის და ამ გზით ამომრჩევლის პოლიტიკურ განწყობებზე ზემოქმედების მიზნით. სიძულვილის ენის შემცველი პოსტები კი მიმართულია დასავლური ინსტიტუტების დემორალიზებისკენ. საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან ტენდენციად გამოიკვეთა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან ანტივაქსერული დეზინფორმაციული კამპანიის ფონზე დასავლეთის დისკრედიტაციის მცდელობებიც.


#### ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიდასავლური და ანტილიბერალური რიტორიკა

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფებში განსაკუთრებით გამლიერდა ანტიდასავლური და ანტილიბერალური დისკურსი. აგრესიული რიტორიკის სამიზნე აღმოჩნდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი, საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი და სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია. ქსენოფობიური და ჰომოფობიური მედია პლატფორმა „ალტ-ინფოს“ ბაზაზე შექმნილი პარტიის „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერების მიერ 24 დეკემბერს ორგანიზებული საპროტესტო აქცია მიმართული იყო დასავლური ინსტიტუტების დისკრედიტაციისკენ. აქციის ორგანიზატორები მოითხოვდნენ 5 ივლისს,

<sup>9</sup> ინტერპრესნიუსი, „ირაკლი ღარიბაშვილი-არ დავეშვებ სავალდებულო ვაქცინაციას“, 24 ოქტომბერი 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZJcx3X>

ჟურნალისტთა თავდასხმაში ბრალდებული და დაკავებული მათი თანამოაზრეების განთავისუფლებას. პარტიის ლიდერებმა [ზურა მახარაძემ](#) და [კონსტანტინე მორგოშიამ](#) მხარდამჭერთა მობილიზაციისთვის სოციალური ქსელები აქტიურად გამოიყენეს. 20 დეკემბერს გავრცელებულ ვიდეო მიმართევებში მათ საზოგადოებას მოუწოდეს, მონაწილეობა მიეღოთ სახალხო დამცველის ოფისთან დაგეგმილ საპროტესტო აქციაში. მიმართევებში აღნიშნული იყო, რომ 5 ივლისის საქმეზე დაკავებული პირები „სინდისის პატიმრები“ არიან და იმყოფებიან ამერიკის საელჩოს, ევროკავშირისა და სახალხო დამცველის ტყვეობაში. აქციის ორგანიზატორებმა მოუწოდეს მხარდამჭერებს, ჩაეწერათ ვიდეომიმართვები დაანონსებული აქციის შესახებ.

21 დეკემბერს „ალტ ინფოსთან“ დაკავშირებულ ფეისბუქ გვერდზე „ტრადიციონალისტური პლატფორმა“ ვირუსულად გავრცელდა [ვიდეოები](#) სათაურით „ლიბერალიზმი მოკვდა“. ვიდეოში „კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერები მოუწოდებენ თანამოაზრეებს 24 დეკემბრის საპროტესტო აქციაში მონაწილეობისკენ და პროტესტის ნიშნად წვავენ ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების დროშებს და ვახო სანაიას, ინგა გრიგოლიას, ნიკა გვარამიას და გიორგი თაბაგარის [ფოტოებს](#). „კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერები სწორედ მათ სდებენ ბრალს 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების ორგანიზებაში. ვიდეო მასალა ვირუსულად გავრცელდა ფეისბუქ გვერდებზე: [„ქართველი კონსერვატორები“](#) და [„ლევან ვასაძის მხარდამჭერები“](#). ანტიდასავლური და ანტილიბერალური რიტორიკა შენარჩუნდა უშუალოდ აქციის დღესაც. „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერები პირდაპირ აკისრებდნენ პასუხისმგებლობას 5 ივლისის ორგანიზებაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის საელჩოს, სახალხო დამცველს კი ბრალს სდებდნენ ორმაგ სტანდარტებსა და მიკერძოებულობაში მათი თანამოაზრეების წინააღმდეგ.



24 დეკემბრის საპროტესტო აქციაზე ულტრამემარჯვენე აქტივისტმა ბექა ვარდოსანიძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ქეთი თუთბერიძე აქციის მონაწილეებთან ერთად ალყაში მოაქცია და სიტყვიერი შეურაცხყოფა [მიაცენა](#). ბექა ვარდოსანიძე მას დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებდა და დამაკნინებლად მოიხსენიებდა მის საქმიანობას. 2021 წლის 31 დეკემბერს ბექა ვარდოსანიძე [დააკავეს](#) სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიტყვიერი შეურაცხყოფის ბრალდებით და 2022 წლის 2 იანვარს გაათავისუფლეს. 11 იანვარს, სასამართლომ ის სამართალდამრღვევად ცნო და სახდელის სახით 2 000 ლარიანი [ჯარიმა](#) განუსაზღვრა. ვარდოსანიძის [განცხადებით](#), ჟურნალისტებზე გაბრაზებულმა, ემოციურ ფონზე მიაცენა სიტყვიერი შეურაცხყოფა პოლიციელს. ულტრამემარჯვენე ბლოგერსა და აქტივისტს მხარდაჭერა



გამოუცხადეს „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერებმა [კონსტანტინე მორგოშიამ](#), [ზურა მახარაძემ](#) და „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერმა ზვიად ტომარაძემ. ტომარაძემ [ვიდეო მიმართვით](#) პირველმა ამცნო საზოგადოებას ბექა ვარდოსანიძის დაკავების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმა „ალტ-ინფო“ გამოირჩეოდა ანტილიბერალური ნარატივებით. 2021 წლის 21 სექტემბერს, გადაცემაში „ალტ ანალიტიკა“ წამყვანებმა ეთნო-რელიგიურ მოტივებზე დამყარებული, ანტილიბერალური პოსტულატები გააჟღერეს. ძირითადი აქცენტები გაკეთდა მართლმადიდებლობის სრულ შეუთავსებლობაზე ლიბერალურ დღის წესრიგთან, რომელიც მიზნად ისახავს ეკლესიის ჩამოშლას. გადაცემის მთავარი გზავნილები იყო:

- ლიბერალები მიზნად ისახავენ მართლმადიდებლური ეკლესიის [სრულ ჩამოშლას](#)
- პროტესტანტები არ განეკუთვნებიან ქრისტიანებს და [ლიბერალიზმი სათავეს](#) სწორედ პროტესტანტიზმისგან იღებს, რომელიც მიზნად ისახავს მართლმადიდებლობის განადგურებას
- [რომის კავი](#) გეი აქტივისტი და სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერია.

ნატოს დისკრედიტაციას და დემონიზაციას ისახავდა მიზნად 11 ოქტომბერს, „ალტ-ინფოს“ გადაცემა [„ალტ-ანალიტიკაში“](#) წამყვანების ზურა მახარაძისა და ირაკლი მარტინენკოს დიალოგი. გადაცემაში განიხილეს საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივები და აღნიშნეს, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, თურქეთის სტრატეგიული მიზანია. მათ ნატოში საქართველოს შესვლის საკითხი პირდაპირ დაუკავშირეს თურქეთის გავლენების ზრდას რეგიონში და მისი სამხედრო დანაყოფების განთავსებას საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული დეზინფორმაცია კრემლისტური მედია პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია და მას ალიანსი საკუთარ ვებგვერდზეც ოფიციალური [განცხადებით](#) გამოეხმაურა. სტატიაში აღნიშნულია, რომ ნატოს ბაზები არაწევრ სახელმწიფოებში მხოლოდ სამხედრო ოპერაციების დროს არის განლაგებული და საქართველოში არსებული სამეთვალყურეო ოფისის განხილვა სამხედრო ბაზად სრულიად დაუშვებელია.

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად 2021 წლის 1 ოქტომბერს „ალტ-ინფოს“ [გადაცემა](#) ალტ-ანალიტიკაში გავრცელებული დეზინფორმაცია, რომლის თანახმადაც, საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში ნატოს სამხედრო გემით თურქეთიდან შემოვიდა. შესაბამისად, წამყვანებმა განავითარეს მოსაზრება, რომ დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება შეუძლებელი იქნებოდა. აღნიშნული ნარატივი კონსპირაციული თეორიის ნიმუშია და დეზინფორმაციული შინაარსი აქვს. საქართველოს პროკურატურის [განცხადებაში](#) დეტალურად არის აღწერილი მიხეილ სააკაშვილის ქვეყანაში შემოსვლის მარშრუტი და აღნიშნულია, რომ ის უკრაინიდან ფოთის ნავსადგურში შემოვიდა გემით „ვილნიუსი“.

ანტიდასავლური რიტორიკა, რომელსაც „ალტ ინფო“ ავრცელებს კოორდინირებულად ზიარდება ფეისბუქ გვერდებზე: [„ტრადიციონალისტური პლატფორმა](#), [„ერთვნილი იდეოლოგია უალტერნატივოა“](#) და [„კონსერვატორი“](#). აღნიშნული გვერდები ღიად უჭერენ მხარს ლევან ვასაძეს და წარმოაჩენენ მას დასავლურ „მჩაგვრელ სისტემასთან“ მებრძოლ ლიდერად.

შეჯამების სახით, გამოიკვეთა, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფების ონლაინ დისკურსი ღიად უპირისპირდება ლიბერალურ დასავლეთს და ეთნო-რელიგიურ განწყობებზე აპელირებით ცდილობს საზოგადოების პოლარიზებას. შეიმჩნევა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების

დისკრედიტაციის მცდელობებიც, რაც საერთო ჯამში, ქვეყნის პოლიტიკურ დისკურსზე ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად.



კონსერვატორი  
7 September  
„ლევან ვასაძე - მჩაგვრელი, დასავლურ სისტემასთან მებრძოლი ერთადერთი პოლიტიკოსი!“  
ა ბატონო:  
„უარი ნატოს! საქართველო არ უნდა იყოს იმპერიებს შორის სამხედრო პოლიგონი. საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს მოქნილი, დრეკადი და სიტუაციური.“  
„პირდაპირი მოლაპარაკებები რუსეთთან, რათა გაჩნდეს რეალური შანსი, როგორც ტერიტორიების დაბრუნების, ისე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების.“



### ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტივაქსერული კამპანია

ულტრამემარჯვენე ლიდერები და აქტივისტები: [ზვიად ტომარაძე](#), [ლევან ჩაჩუა](#) და [ბექა ვარდოსანიძე](#) სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე აქტიურად ეწევიან ანტივაქსერულ კამპანიას; ორგანიზებას უწევენ საპროტესტო აქციებს ვაქცინაციის წინააღმდეგ და საზოგადოებაში ავრცელებენ დეზინფორმაციას.

საანგარიშო პერიოდში, ანტივაქსერული კამპანია დასავლური ინსტიტუტებისა და ლიბერალური მედიის დისკრედიტაციის ფონზე მიმდინარეობდა. აგრესიული რიტორიკის სამიზნე იყო ლუგარის ლაბორატორიაც. [ბექა ვარდოსანიძე](#) საკუთარ ფეისბუქ გვერდზე 24 ოქტომბერს გაავრცელა დეზინფორმაცია, რომ ლუგარის ლაბორატორია თავად მონაწილეობდა კორონავირუსის შექმნაში. ღიად პრორუსულმა მედიამ „საქართველო და მსოფლიო“<sup>10</sup> საზოგადოებას შესთავაზა ვერსია, რომ ამერიკამ საქართველო ბიოლოგიური ექსპერიმენტის პოლიგონად აქცია და ლუგარის ლაბორატორია EcoHealth Alliance-თან ერთად ჩართული იყო კორონავირუსის შექმნაში. იდენტური დეზინფორმაცია გაავრცელა ფეისბუქ ჯგუფმა „ლევან ვასაძის მხარდამჭერები“, სადაც რუსულენოვან youtube არხზე „Military Arsenal“-ზე გამოქვეყნებული [ვიდეო](#) გაზიარდა. EcoHealth Alliance ამერიკული ორგანიზაციაა, რომელიც წლებია მუშაობს ადამიანებისა და ცხოველების ვირუსული/ეპიდემიური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. 2017 წელს ლუგარის ლაბორატორიასთან მათი თანამშრომლობის<sup>11</sup> მიზანი იყო დამურებში არსებული ვირუსების კვლევა. საქართველოდან მიმდინარე სამეცნიერო პროექტში ჩართულმა სამეცნიერო ჯგუფმა<sup>12</sup> სპეციალური პრაქტიკული მომზადება გაიარა ბიოუსაფრთხოების მიმართულებით.

<sup>10</sup> საქართველო და მსოფლიო, "თბილისის ლუგარის ცენტრში რაღაც საზარელი განუზრახავთ: ვინ უნდა უფრთხოდეს C ჰეპატიტის ეპიდემიას?" 28 სექტემბერი 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wcj7LQ>

<sup>11</sup> Ecohealthalliance, "Establishing Biosurveillance Networks in Western Asia", ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EK6XgC>

<sup>12</sup> Wabnet, "Georgia National Center for Public Health Research – R. Lugar Center, Tbilisi", ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nTmKTj>



სავალდებულო ვაქცინაციის წინააღმდეგ ასევე ილაშქრებენ ულტრამემარჯვენე ლიდერები ზვიად ტომარაძე და ლევან ჩაჩუა. ისინი საერთოდ უარყოფენ პანდემიის არსებობას და კოვიდ ვაქცინაციას გლობალურ-ლიბერალური ფლანგის მიერ თავსმოხვეულ დიქტატურად განიხილავენ. 2021 წლის 25 სექტემბერს<sup>13</sup> ლევან ჩაჩუამ, ვებგვერდზე qartuliidea.ge გამოაქვეყნა [სტატია](#) სახელწოდებით „მოსახლეობამ არა მხოლოდ იძულებით ვაქცინაციაზე უნდა თქვას უარი, არამედ იმ პოლიტიკაზეც, რომელიც ამას დაუკანონებს“. ულტრამემარჯვენე ლიდერი მოუწოდებს საზოგადოებას, არ აჰყვნენ გლობალურ შეთქმულებას და უარი თქვან კოვიდ ვაქცინაზე. გარდა ამისა, ის „ლიბერალური კონიუნქტურის მიმკვალს“ უწოდებს ხელისუფლებას და ურჩევს არ დააკანონოს სავალდებულო ვაქცინაცია. „კოვიდ დიქტატურად“ მოიხსენია ვაქცინაციის პროცესი ზვიად ტომარაძემ და საკუთარ [ფეისბუქ გვერდზე](#) გამოეხმაურა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს [გადაწყვეტილებას](#), მოსწავლეთათვის პირბადის ტარების სავალდებულოობასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, ბავშვებისთვის პირბადის ტარების ვალდებულების დაკისრება დანაშაულია, ვინაიდან იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას, უარყოფითად მოქმედებს ფილტვებზე და საერთოდ არ იცავს ვირუსისგან. რეალურად, აღნიშნული გზავნილები დეზინფორმაციული შინაარსისაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის [თანახმად](#), სწორედ პირბადეა ერთადერთი გარანტი ვირუსისგან თავდასაცავად. ხოლო [რეკომენდაციების](#) დაცვით დამზადების შემთხვევაში, მისი ხანგრძლივი დროით ტარება არ ახდენს ნეგატიურ გავლენას სასუნთქ გზებზე. ზვიად ტომარაძემ აღნიშნული დეზინფორმაცია ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმებზეც [„ალტ-ინფო“](#) და [„ობიექტივი“](#) გაავრცელა.

18 დეკემბერს ზვიად ტომარაძემ თავის ფეისბუქ გვერდზე მორიგი დეზინფორმაცია [გაავრცელა](#), სადაც ირწმუნებოდა, რომ ისრაელში ბიზნეს სექტორის პროტესტის საპასუხოდ გაუქმდა „მწვანე პასპორტები“ სავაჭრო ცენტრებში შესასვლელად. რეალურად კი, როგორც [Times Of Israel](#) იუწყება, ისრაელში „მწვანე პასპორტისგან“ თავისუფლდება მხოლოდ სააფთიაქო და სასურსათო მაღაზიების მომხმარებელი. სავაჭრო მოღვაწეებში განთავსებულ სხვა ნებისმიერ ობიექტში შესასვლელად კი კვლავ „მწვანე პასპორტია“ აუცილებელი. აღნიშნული დეზინფორმაცია ზვიად ტომარაძემ მხარდამჭერებს 19 დეკემბრის აქციაზეც განუცხადა და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, გაეთვალისწინებინათ ისრაელის მაგალითი.

საანგარიშო პერიოდში ზვიად ტომარაძემ, ბლოგერ ბექა ვარდოსანიძესთან ერთად არაერთი საპროტესტო აქცია დააორგანიზა. თითოეული აქციის მთავარი მოთხოვნა „მწვანე პასპორტების“ გაუქმება და საკოორდინაციო საბჭოს მიერ დაწესებული კოვიდ რეგულაციების გაუქმება იყო. ორგანიზატორებმა მხარდამჭერების მობილიზაცია ფეისბუქ გვერდებისა და ჯგუფების საშუალებით შეძლეს.

---

<sup>13</sup> ქართული იდეა, "მოსახლეობამ არა მხოლოდ იძულებით ვაქცინაციაზე უნდა თქვას უარი, არამედ იმ პოლიტიკაზეც, რომელიც ამას დაუკანონებს." 25 სექტემბერი 2021, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/9R93bXz>